№ 106
ხუთშაბათი, 18 მაისი, 1900 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1900

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 106
ხუთშაბათი, 18 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 22

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 20 მაისს.

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲑᲔᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—გარდაცვალებასა ქმრისას, ხოლო მეორე—სიძისას

## მიხეილ ჭეცრეს მის მორბედაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დასაკრძალავად განსვენებულის გვამისა სოფ. ზემო ხვედურეთში, 18 მაისსა, დილის 9 საათზე.

(1—112—1)

## ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება მუშტაიდის ბაღში, 28 და 29 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## მალოროსსები

საზაფხულო ბაღი და თეატრი.

ხუთშაბათს, 18 მაისს,
მალოროსთა არტისტების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

„ოი ნე ხოდი გრიციუ, ტა ნა ვეჩერნიცი"

დრამატ. ოპერა 5 მოქმ.

მთელი დასი იღებს მონაწილეობას.
დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.
ბაღში სეირნობაა და სამხედრო ორკესტრი უკრავს.
დირექტრისა ა. ა. ორლიკი.
გამგე ნ. ი. კობილსკი.

შემდეგი წარმოდგენა პარასკევს იქნება „ჟიდივკა ვიხრისტკა". წარმოსადგენად—მზადდება სუხოდოლსკის 5 მოქმედ. დრამა „ხმარა".

(1—ნ.—1)

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

ᲓᲘᲚᲘᲗ:

**Ვ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**—შინაგანი—9—10 საათ.

**Ი. Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**Მ. Ა. ᲞᲝᲙᲠᲝᲕᲡᲙᲘ**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**Ა. Ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ**—თვალისა 12—1 საათ.

**Ვ. Ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**Ი. Დ. ᲒᲔᲒᲗᲐᲑᲔᲒᲝᲕᲘ**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

**Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

**Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**Უ. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**Ა. Ნ. ᲨᲞᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**Ა. Პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ:

**Ა. Ნ. ᲨᲞᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა

**Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.** 7½—8 საათ.

**Ვ. Მ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**Ო. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

მორიგი

## ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

### დანიშნულია

21 მაისს, კვირას, დილის 10 საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია და დასამტკიცებელი წასული წლის ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის.

გამგე ამხანაგობისა ნ. წერეთელი

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. რუსუდან დიმიტრის ასულმა მელიქიშვილისამ—ორი მშვენიერი ვაზა და ერთი ძვირფასი მუშტუკი.

ქ. გორში ქ-ნ ა. პავლიაშვილის მიერ შეკრებილი:

ა. მ. რომანოვისამ—სამი ხილის ჩასაწყობი თეფში.

ვ. მ. ბარნოვმა—ორი შუშა ოდეკოლონი.

აზიანისამ (ლონდაროვისამ)—ჩარექა.

ა. გრიქუროვმა—ალბომი.

კნ. ა. ი. ფავლენიშვილისამ—მარაო.

ე. გ. სამთლიკუდოვისამ—ყულაბი, ტერმომეტრი და ერთი ნაჭერი საპონი.

ე. ი. ხითაროვისამ—საპერანგე.

ო. გ. ყანჩელისამ—ქიქის ჩასადგმელი და კედლის ტერმომეტრი.

კნ. მ. წერეთლისამ—ვერცხლის სასპიჭკე და კარანდაში.

ე. ს. ბაზიეროვისამ—ხუთი შუშა დუხი, ორი ყუთი პუდრი, ხუთი ნაჭერი საპონი, ორი შუშა კრემი, ერთი შუშა გლიცერინი, პუდრის წასასმელი, კბილის საწმენდი, ჯიბის ფლაკონი და სხვ.

მ. ს. ხითაროვისამ—ერთი წყვილი ჩულქი.

ნინა ტერ-მინასოვისამ—ნაკერი პირსახოცი.

ყულიჯანოვისამ—საპერანგე.

ბ. ი. შოშიაშვილისამ—ხუთი თეფში.

თამამშოვის ქარვასლის ვაჭართა შორის შეკრებილი ნივთები ანნა ცისკარაშვილისა, ეკატერინე ფურცელაძისა და ოლგა ბეჟანაშვილის მიერ:

ფორაქაშვილმა—2 შალის მოსახვევი, 3 წყვილი ჩულქი, 3 წინსაფარებელი, 6 ჩითის მოსახვევი, 5½ არშინი კისეის ფარდა, პერანგი.

ივანე კაჭკაჭოვმა—10 არშინი ჩითის ნაჭრები.

ნიკოლოოზ კაჭკაჭოვმა—პიკის საბანი ბავშვისათვის, ერთი პირსახოცი და ორი ნაჭერი ჩითი 10 არშინი.

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲝᲛᲘ

ფსიხოლოგიური ეტიუდი მ. რივესმანისა.

აგერ ერთი თვე გავიდა, რაც კაპიტანი მონინგი გაემგზავრა ჯარში. ლედი მონინგმა ქმრის სიყვარულის გამო გმირულად აიტანა საშინელი წამი განშორებისა. ის ცოტაოდე გაფითრდა, როდესაც ჩარლზმა უკანასკნელად ჩამოართვა ხელი და აკანკალებულის ხმითა სთქვა:

— ნახვამდის... მშვიდობით!..

სახლში ქალი დაუძლურებული, ზნეობრივად მოქანცული დაბრუნდა. ფიქრ-გრძნობანი აშლოდა და ეს აღელვებდა, თუმცა ამ ფიქრთა და გრძნობათაგან ვერ გამორკვეული ყო.

ხან ეჩვენებოდა, რომ ჩარლზი არც-კი ჰფიქრობდა შორსა და დიდის ხნით წასვლას. დრო-გამოშვებით უნდოდა ეფიქრა, რომ ის სულაც არ წასულა... მაშინ მივიდოდა ხოლმე სარკმელთან, აცქერდებოდა გამვლელ-გამომვლელთ და უკვირდა, რომ ბევრი მათგანი ასე ჰგავდა ჩარლზს.

„იქნება ისიც მალე მოვიდესო"!—ნელის ხმით ჰბუტბუტებდა ლედი.

ხანდახან თითქოს ავიწყდებოდა, რისთვის და სად წავიდა კაპიტანი მონინგი, მაგრამ ეს მარტო ერთს წუთს გასტანდა ხოლმე.

„ტრანსვაალი"... „ბურები"... გაუელვებდა თავში და სინამდვილე ახალის ძალით აშინებდა და კანკალსა ჰგვრიდა.

სულ ოთხი წელიწადი იყო, რაც ლედი მონინგი გათხოვდა.

ჩარლზი მხურვალედ უყვარდა ბრწყინვალე ჭკუისა, კეთილშობილურ მიხვრა-მოხვრისა და მეტადრე იმ გარეგნად მკაცრ შეხედულობის დაფარულ გულკეთილობისათვის, რომელიც, როგორც იმას ეჩვენებოდა, მარტო მან გაიგო და დააფასა ჯეროვანად. იგი ქმარს აღმერთებდა და სწყინდა, როდესაც ეტყოდა ვინმე, სხვანიც არიან, რომელნიც შენს ქმარს არაფრით ჩამოუვარდებიანო. მისი ქმრის მიმართ სიყვარული ხან შეყვარებულს დაამსგავსებდა და ეჭვებიც-კი აღეძვრებოდა ხოლმე. ხშირად ქალი, როდესაც დედა გახდება ხოლმე, ქმარსა და შვილს შორის თითქოს ჰყოფს სიყვარულს და ნახევარზედ მეტს სიყვარულისას უთმობს შვილს,—მაგრამ ლედი მონინგს-კი, უკვე დედას, წინანდებურად უყვარდა თავისი ჩარლზი. ის ენატრებოდა, რომ მისი შვილი ნამდვილი მსგავსება ყოფილიყო მამისა.

— გავიორკეცებ შენს სიყვარულსაო!—უტყუვრად ეუბნებოდა იგი ქმარს.

პატარა ვილლიც ნამდვილად პირწავარდნილი მამა იყო. იგივ ცისფერი, დიდი თვალები ჰქონდა, იგივ სათაყვანო ღიმილი, მარჯვენა ლოყაზედ რომ პატარა ამოღრმავებული გამოუჩნდებოდა ხოლმე, იგივ პირისახის მოყვანილობა და პატარა შეპუებული ტუჩები, რომელთა კოცნა ასე სასიამოვნო, ასე გამოუთქმელად ტკბილია...

კაპიტან მონინგს უყვარდა თავისი ცოლი, მაგრამ ნათლად ჰხედავდა, რომ მისი გრძნობანი ვერ შეედრებოდა ცოლის მისდა მიმართს სიყვარულსა და ერთგულებას. ხან ეჩვენებოდა, რომ ცოლის წინაშე დამნაშავე ვარო. იგი ეკუთვნოდა იმ ერთ გვარ ჯგუფს ხალხისას, რომელნიც ძლიერად ჰგრძნობენ, მაგრამ სიტყვითა და მოქმედებით ვერ გამოუთქვამთ თავისი გრძნობანი. ოო!.. იმან იცოდა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ არ შეეძლო, ცოლისებურად მისულიყო იმასთან, უეცრად მოხვეოდა, კოცნა დაეწყო, ან ეთქვა:

— ემმი, როგორ მიყვარხარო!..

ამიტომაც ბევრს ისე ეჩვენებოდა, ცოლს ცივად ეკიდება და ამ მოსიყვარულე ქალის გრძნობათ შეურაცხჰყოფსო.

მაგრამ ლედი მონინგი-კი, სადღაც სულის მივარდნილ საიდუმლო კუნჭულებში, ჰგრძნობდა, რომ ჩარლზს ვუყვარვარო...

—

— სად არის მამილო?..

დღეში რამდენჯერმე ჰკითხავდა თავისს დედას პატარა ვილლი. ამ დროს მის პატარა ცის-ფერ თვალებში იმდენი ნაღველი იყო, რომ როდესაც ის მამას ჰკითხულობდა, ლედი-მონინგს ძალა უნდა დაეტანებინა თავისის თავისათვის, რომ არ აქვითინებულიყო.

— მამა ბებიასთან წავიდა!—უპასუხებდა დედა.

მაგრამ ბავშვი არა მშვიდდებოდა.

— რატომ ბებია არ მოდის მამასთან?—ჰკითხავდა იგი.

პატარა ვილლი დაჩვეული იყო, რომ დედასა და მამას იგი ერთად დაეძინებინათ, ძილის წინად ლოცვა ეთქვათ და ორივეს ეკოცნათ პატარა შუბლში. მამამ-კი იმისთანა მშვენიერი ზღაპრების თქმა იცის: გმირისა, ოქროს ცხენით ვარსკვლავებთან მიმფრინავისა; ანგელოზისა, რომელიც

გუნდიევმა — ოცი არშინი ჩითი.

ვ. ნიკოლაშვილმა — 3 წყვილი ჩულქი, ერთი ბუმაჟნიკი, 2 გალსტუხი.

შოშიევმა — ერთი თოფი ვიშივკა.

სტეფანოვმა — ერთი შუშა დუხი და ერთი ვერცხლის ქამარი ქალისა.

საათსაზოვმა — ორი ქალის ბუმაჟნიკი.

ისაევმა — ორი კარგი პირსახოცი.

ბარამოვმა — ქალის 4 ქამარი, 3 წყვილი ჩულქი და 6 ყელის ბანტი (ქალისა).

ნავთიკოვმა — ორი შლიაპა და ორი ყმაწვილის ქოლგა.

[illegible] — 1 წყვილი ჩულქი, 1 სანემსე ნემსებით და ძვლის სავარცხელი.

გიგუზოვმა — 3 წყვილი ფილდიკოსის ხელთათმანი.

მაკაროვმა — სამი ქალალდის საყელო.

წატუროვმა — კასინკა.

გალუსტოვმა — პოდვიასკები.

მალაევმა — ბაწრის შალი.

ოქრომჭედლოვმა — ორი ხელსახოცი.

ზალინოვმა — 10 არშინი ჩითი.

ორლოვმა — ორი წყვილი ბავშვის ჩულქი.

ბასილოვმა — საკვოიაჟი.

ოქოევმა — მოსახვევი.

კანდურალოვმა — 1 წყვილი აბრეშუმის ხელთათმანი.

ნაზაროვმა და მირზოევმა — 5 არშინი ჩითი.

არუთინოვმა — ძვლის შპილკა.

საკოვმა — ორი წყვილი ბავშვის ჩულქი.

მურადოვმა — ორი თავსაკრავი.

მალალდაძემ — 20 სხვა და სხვა ნივთი.

სალიბეგოვმა — ერთი ბუმაჟნიკი.

იარამოვმა — ერთი პატარა ქოლგა.

# ახალი ამბავი

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, დღეს 18 მაისს, დილის 7 საათზედ, მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი, სამის დღის სტუმრობის შემდეგ, ტფილისსა სტოვებს და საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში მიდის, ხოლო იქიდგან საზღვარგარეთ. საზღვარ-გარეთ მისი უდიდებულესობა სამკურნალოდ მიდის, მაგრამ მკურნალობის გარდა აზრად ევროპის სახელმწიფოების მოვლა, იქაურის ცხოვრებისა და მმართველ-გამგეობის გაცნობაცა აქვს. მისი უდიდებულესობა შაჰი ევროპის ცივილიზაციის მომხრეა და კიდეცა სცდილობს ევროპიულ ცხოვრებისა და სწავლა-განათლების გავრცელებას თავისს სახელმწიფოში. თუმცა სულ ცოტა ხანია, რაც სპარსეთის ტახტზედ ავიდა, მაგრამ შაჰს უკვე საკმაო სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე. სხვათა შორის შაჰის მუზაფარ-ედდინის მეცადინეობით დაარსდა თავრიზში პროგრესიული გაზეთი „ნასირი“, იმისსავე მეცადინეობით დაარსებულ იქმნა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში სამხედრო საგნების გარდა ასწავლიან რუსულს, ფრანგულს, ინგლისურს, ნემეცურს, ოსმალურს და არაბულს ენებს და აგრეთვე ზოგიერთ საბუნების-მეტყველო საგნებს. ჯარების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შაჰის ბრძანებით, ააგეს მშვენიერი, ჰიგიენის მხრივ კარგად მოწყობილი, კაზარმები, ხოლო თვით ჯარის გასაწვრთნელად დაიბარეს ევროპიდგან გამოცდილი ინსტრუქტორები. აწინდელ შაჰს დიდი სახელი აქვს გავარდნილი მთელს სპარსეთში; ამისი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ უკანასკნელ შიმშილიანობის დროს შაჰის ბრძანებით დიდ-ძალი პური იყიდეს რუსეთში და შემდეგ ამ პურს გროშის ფასად ჰყიდნენ გაჭირვებულსა და დაზარალებულებზედ.

მუზაფარ-ედდინი ამ ჟამად 47 წლისაა. უფროსი შვილი შაჰისა და ტახტის მემკვიდრე, მაჰმედ-ალი-მირზა დაიბადა 1872 წელს. ამ ჟამად მემკვიდრე პრინცი თავრიზის მმართველია.

ამ მგზავრობაში მის უდიდებულესობას შაჰს ახლავან: დიდი ვეზირი სპარსეთისა ემინუს სულთანი, სასახლის მინისტრი ხაკიმულ-მულკი, ობერ-კამერგერი მოვასსაკუდ-დოჰლე, ფოსტათა მინისტრი ვეზირ-ჰუმაუნი, საზოგადო სამუშაოთა მინისტრი მუხანდისულ-მემალიკ, მისის უდიდებულესობის მდივანი ვექილ-უდ-დოჰლე, გარეშე საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორი მუშირულ-მულკი, ობერ-ცერემონიმეისტერი ზახირუხ-დოჰლე, ცერემონიმეისტერი ვიკონტ მონტეფორტე, მინისტრად ნამყოფი ნასირულ-მულკი, ობერ-კამერჰერი მოვასსა-კუდრ-დოჰლე, ჩრდილოეთ-ამერიკაში მყოფი სპარსეთის ელჩი ხალილ ხანი, დრაგომანი ნედიმუს-სულთანი, ლეიბ-მკურნალი ადკოკი, ადიუტანტი მაჰამედ-ალი-ხანი, სასახლის მკურნალი ხალილ-ხანი. ამათ გარდა სამი კამერჰერი და ხუთი კამერ-იუნკერია.

⁂ მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფარ-ედდინი გუშინ, 17 მაისს, დილის 10 საათზედ, წაბრძანდა საბოტანიკო ბაღში, სადაც ორ საათამდე დაჰყო, დაათვალიერა ამ ბაღის მცენარეულობა, ხელი მოაწერა იმ დავთარს, რომელშიაც აღინიშნება ხოლმე ამ ბაღის მნახველ წარჩინებულ კაცთა გვარები. შემდეგ დაათვალიერა სპარსეთის საელჩო. ნაშუადღევის $4\frac{1}{2}$ ნახევარ საათზედ მისი უდიდებულესობა რკინის გზით წაბრძანდა ნავთლუღს ნიჟეგოროდის რაზმის დასათვალიერებლად.

⁂ ამ დღეებში მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ მიიღო უწმიდესის სინოდისაგან ცნობა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის სამკლასიანიდგან ექვს კლასიანად გადაკეთების შესახებ. როგორც ვიცით, 1899 წ. ნოემბრის თვეში ქალ. ტფილისში მოწვეულმა ქართლ-კახეთის სასულიერო წოდების რწმუნებულთა კრებამ გადასწყვიტა სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთება, რისთვისაც საჭირო თანხაც გადასდო ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის შემოსავლიდგან. მისმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ ფლაბიანემ აღძრა შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ უწმიდესის სინოდის წინაშე და თან სთხოვა, სასწავლებლისთვის ყოველ წლივ ეძლია სინოდს ასი თუმანი შესაწევრად. უწმიდესმა სინოდმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. 1900—1901 სასწავლო წლის დასაწყისიდამვე ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელი, რომელშიაც თითქმის სულ ქართველი ქალები სწავლობენ, გადაკეთებულ იქმნება ექვს კლასიანად. ამ სასწავლებელში შემდეგ სასწავლო წლიდგან იქმნება ორი მოსამზადებელი კლასი (უმცროსი და უფროსი). როგორც ვიცით, ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულებს ნება აქვთ შევიდნენ დედათა გიმნაზიის მერვე კლასში მხოლოდ ზოგიერთ საგნებში გამოცდის შემდეგ და აგრეთვე პირველ დაწყებითი სკოლებში მასწავლებლობის უფლება ეძლევათ.

⁂ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლად საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს ამ მასწავლებლობის კანდიდატები გაჰგზავნოს ხოლმე საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში, სადაც ისინი გამოცდილ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ერთის წლის განმავლობაში მოემზადებიან.

⁂ ტფილისის გუბერნიის მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი უკვე დაბრუნდა ტფილისს. მაჰავარიანი გორის მაზრის იმ ადგილების დასათვალიერებლად იყო, რომლებიც შორაპნის მაზრის საზღვართანაა. ბ-ნმა მაჰავარიანმა გამოიკვლია, რა მდგომარეობაში არიან სანიტარულის მხრივ ამ ადგილების სოფლები. მან მხოლოდ რამდენიმე სოფელი დაიარა, დანარჩენების დასათვალიერებლად გუბერნიის მკურნალი ბ-ნი ქიქოძე გაემგზავრება.

⁂ ხვალ, 19 მაისს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებას იმის შესახებ ექმნება ლაპარაკი, თუ რა ზომების მიღებაა სასურველი კავკასიის სოფლის მეურნეობაზედ მოუსავლობის ცუდ გავლენის შესასუსტებლად.

⁂ ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება, ხვალ 19 მაისს მოხდება.

⁂ პეტერბურგიდგან გაზეთ „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: „უმართებულესმა სენატმა გააუქმა ხელ-ახლა განხილვამდე ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი ქ-ნ პოლონსკაიასი და აზ. გვარამაძის საქმის გამო, რომელთაც მევახშეობა ჰბრალდებოდათ და რომელთაც პალატამ გადაუწყვიტა: პირველს—ასტრახანის გუბერნიაში გაგზავნა საცხოვრებლად, ხოლო მეორეს—რვა თვით საპყრობილეში დაპატიმრება“.

⁂ წელს ტფილის სასულიერო სემინარიაში სწავლას ამთავრებს 56 მოსწავლე, რომელთა შორის 44 ქართველია.

⁂ სოფ. ხარაგაული (შორაპნის მაზრა). სოფ. ხარაგაულის მღვდელი მამა რომანოზ დეკანოსიძე დაამთავრებს მალე თავისს ხარჯზედ ორ-სართულიან ქვიტკირის შენობის აგებას საეკლესიო სკოლის მოსათავსებლად. იმერეთის საეპარქიო სასკოლო საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ამ შენობაში ორ-კლასიანის საეკლესიო სკოლის დაარსების შესახებ. უწმიდესის სინოდის სასწავლებელთა საბჭომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. ამ შენობაზედ დაიხარჯება სულ ექვსას თუმნამდე და ამდენს ფულს სწირავს უანგარო მოძღვარი მამა რომანოზ დეკანოსიძე მხოლოდ საერო განათლების საქმეს. ხმები იმის, რომ ადგილობრივს სასულიერო მთავრობას აზრადა აქვს აღძრას შუამდგომლობა უწმიდესის სინოდის წინაშე იმის შესახებ, რომ ხარაგაულის მომავალს საეკლესიო ორ-კლასიანს სკოლას სახელად „რომანოზ დეკანოსიძის სკოლა“, ამა მოძღვრის ქველ-მოქმედებისა და სახელის აღსანიშნავადა და ჩინებულ-საყოფელად.

⁂ როგორც შევიტყეთ, ქართულის საეკლესიო მუზეუმის გამგეობის განკარგულებით ჰ სათასით იბეჭდება 1074 წელს გადაწერილი შესანიშნავი მეგლი ათონის ივერიის მონასტრისა.

⁂ ტფილისის საბჭოს მიერ ქალაქის მოურავის მოადგილედ არჩეული გამ. წევრი თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა ამ თანამდებობაში.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გამოაცხადა, რომ ის, ვისაც ამ გზაზედ მაშინისტად უნდა შესვლა, შემდეგს პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1, არ უნდა იყოს 21 წლისაზედ პატარა და 50 წლისაზედ დიდი; 2, უნდა იყოს მთელის აგებულობისა და ისეთი ავადმყოფობა არა სჭირდეს, რომელიც სამსახურის შესრულებას ხელს შეუშლის; 3, კარგი სმენა უნდა ჰქონდეს; 4, ლოთი არ იყოს; 5, იცოდეს წერა და კითხვა რუსულად, აგრეთვე ანგარიშის პირველი ოთხი მოქმედება;

---

მშვიდის ხმით „ნანა“-ს უმღერს ობოლს ბავშვს; პატარა ქალისა, რომელსაც ძმასთან ერთად გზა დაჰბნევია გაუვალს ტყეში... ვილლის ბევრი სათამაშო ჰქონდა, მაგრამ ეხლა-კი თითქმის დაივიწყა... ხშირად ჰბაძავს-რა დედას, გაჩერდება ხოლმე სარკმელთან და უმზერს გამვლელთ. როდესაც-კი ცუდი ამინდი იქნება, ნაღვლიანად იტყვის ხოლმე:

— მამილოს შესცივაო...

ბავშვის ამ უბიწო ლიკლიკით ლედი მონინგს გული ეკუმშება და მისს თვალებს ცეცხლსავითა სწვავს ცრემლები.

ყმაწვილი ქალი ყოველ დღე კითხულობს გაზეთებს და, უკეთუ ამოიკითხა კიდეც ინგლისელების გამარჯვების ამბავი, ჰფიქრობს ხოლმე: „სულ ერთია!.. გამარჯვებულთაცა ჰყავთ მსხვერპლები“...

ოდესღაც,—დიდი ხანია მას აქეთ,—როდესაც იგი 14 წლის ქალწული იყო, მან წაიკითხა წიგნი, რომელშიაც აღწერილი იყო ომი და ყოველივე მისი საშინელებანი. ასე ეგონა, რომ ყველა ეს მოგონილია ღმწერისაგან, რათა ცნობის-მოყვარეობა გაუღვიძოს მკითხველსაო. მშვიდობიანობის დროს ჯარის მოძრაობა მისთვის სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა. მუსიკა უკრავს, დროშები ფრიალებს, ჯარის-კაცები მამაცად გამოდიან წინ და მუსიკას ფეხებს აყოლებენ. მხოლოდ როდესაც ამავე ჯარის-კაცთ ბრძოლის ველზედ სისხლისაგან დაცლის დროსა ჰხატავენ, ეს ბევრს ქალს მარტო მომხიბვლელ ზღაპრად ეჩვენება. ლედი მონინგს ძალიან არეულად ჰქონდა წარმოდგენილი ომი და მისი საჭიროება. იგი ქალწული იყო, ცოლი გახდა, დედა და მეოჯახე შეიქმნა, მაგრამ მამულიშვილობისა, მამულის სიყვარულისა არა გაეგებოდა-რა. პოლიტიკა მისის კერძო ინტერესების ფარგალ გარეშე იყო, იქნება იმიტომ, რომ სულითა, გულით იგი ოჯახს ეკუთვნოდა, პოლიტიკის შესახებ სულ არა ჰფიქრობდა. თავისის სამშობლოს პოლიტიკურ ინტერესების ამ გვარ შეხედულობაზედ გავლენა ჰქონდა მის აღზრდასაც. მამა მისი, ცნობილი მემუსიკე, აინუშშიაც არ იგდებდა პოლიტიკას.

იცოდა, რომ ინგლისში დედოფალი იყო, უყვარდა იგი იმიტომ, რომ ის „ისე მოხუციაო“, მაგრამ დედოფლის შესახებ ამ ფიქრზედ შორს-კი აღარ წასულა. აგრეთვე ცოტად აინტერესებდა ის გარემოება, რომ მინისტრები არსებობენ და რაღასაც ჰმოქმედებენო. როდესაც ერთხელ ჩარლზი დაბრუნდა სახლში და გამოუცხადა ცოლს, რომ ომი გამოცხადებულიაო, ქალმა ჰკითხა:

— ომი?..

— ჰო, საყვარელო, ომი ბურებთან...

— რად უნდა იომონ?

ჩარლზმა განუმარტა, რა მიზეზით დაიწყეს ომი, მაგრამ მან სრულიად ვერაფერი გაიგო. ის მარტო ჰგრძნობდა, რომ ჩარლზი ლაპარაკობდა რაღაც გაუგებრად, ხშირად თავ-დავიწყებამდის მიდიოდა და თითქოს თითონაც არა სჯეროდა, რაც უნდოდა დაემტკიცებინა მისთვის.

ეს ქალი, რომლის ქმარიც ჯარის-კაცი იყო, სრულიად არ იცნობდა ომიანობის დროის ცხოვრებას. თავისს სახლში შეხვდებოდა ხოლმე სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილ კაცებს, მაგრამ ისე უცქეროდა, როგორც ყველა სხვა თანამდებობის კაცს და მათს მოქმედებას არავითარს განსაკუთრებულს მნიშვნელობას არ აძლევდა... რაღაც მიზეზით, ომის გამოცხადების შემდეგ ჩარლზი სულ აღარაფერს ელაპარაკებოდა ცოლს ომის შესახებ, მაგრამ ლედი მონინგმა შენიშნა ერთხელ, რომ ჩარლზს რაღაც ფიქრი აჰკვიატებია, აწუხებს და ხშირად იგი დიდის ხნობით ჩააშტერდებოდა ხოლმე იმას და ვილლის...

უცბად ქმარმა ცოლს უთხრა:

— ემმი, ჩქარა წავალ...

ყმაწვილი ქალი ამ სიტყვების გაგონებაზედ მთლად ათრთოლდა.

მისმა წინასწარ მგრძნობმა გულმა წასჩურჩულა, სადაც და რადაც მიდიოდა ჩარლზი.

— ომში? შეკრთომით ჰკითხ ამან.

— ჰო!

ჩარლზმა დაუწყო კვლავ განმარტება, თუ რისთვის დაიწყეს ომი, აუხსნა მეომრის მოვალეობა, უთხრა, რომ ინგლისელები უეჭველად გაიმარჯვებენ; მალე დავბრუნდები, ჯილდო მომელისო და სხვა. ყმაწვილი ქალი უსმენდა ჩუმად, მაგრამ ყოველი სიტყვა გამოუთქმელის ძალით სწიწკნიდა მის გულს. ქმრის სიყვარულის გამო ქალი ყველაფერში ეთანხმებოდა, მაგრამ როდესაც ჩარლზი წავიდა, ყმაწვილმა ქალმა დაიჩოქა, დიდხანს ილოცა და ბევრი იტირა. რაღაც მიზეზით ჩარლზი მას გადადებულ ავადმყოფ კაცად ეჩვენებოდა, რომელსაც კუთხეში მიმალული შეუბრალებელი სიკვდილი მოელოდდა...

—

ამ ხნის განმავლობაში ლედი მონინგმა ქმრისაგან ორი წერილი მიიღო. ჩარლზი სწერდა, რომ ძალიან კარგადა ვარო, სთხოვდა, არ ინაღვლოო, ამბორს გიგზავნი შენ და ვილლისაო და, ასე გასინჯეთ, ჰხუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ, იცოდეს ორთქმავალის შეკეთება, და 7, ეგზამენიით ჰქონდეს მიღებული უფლება ორთქმავალის გამგეობისა და მაშინისტის თანამდებობის დაჭერისა.

*** ქ. თელავი. წვიმებმა ჯერ კიდევ არ დაგვანება თავი. აქაურები ისე არიან დაშინებულნი, რომ ჰგონიათ, ეს არის, წარღვნა მოვაო. ხევები ადიდდა და ღამას წაიღოს მთელი მიდამო. ამ დღეებში, ეგრეთ წოდებულ, „შავის ფულის" დუქნის წინ მოკლული კაცი იპოვნეს. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ეს კაცი ჯერ მოუკლავთ და მერე იქ (დუქანთან ახლო) წყალში ჩაუგდიათ, ვითომდა იფიქრონო, რომ მთვრალი ყოფილა და დამხრჩვალა. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. ბეკამი (გორის მაზრა). ამ სოფელში სასწავლო წლიდგან დაიწყებს მოქმედებას ერთ-კლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის დაარსება სოფლელთაგან გადაწყვეტილ იქმნა გორის და დუშეთის მაზრების საეკლესიო სკოლების მეთვალყურის არქიმანდრიტის მამა დოსითეოსის მეოხებით. ამ რამდენისამე კვირას წინად მობრძანდა სოფელს ბეკამს მამა დოსითეოსი და შეკრებილს ხალხს მამა-შვილური დარიგება მისცა სკოლის აუცილებელ საჭიროების შესახებ. ხალხმა ამ დარიგების წყალობით ერთხმად გადაწყვიტა დაარსონ ერთ-კლასიანი საეკლესიო სკოლა სოფ. ბეკამში. სკოლა დაარსებულ იქნება იმ შენობაში, რომელიც თავ. აბაშიძემ შესწირა სასულიერო განათლების საქმეს. სოფელი გადიხდის სკოლის სასარგებლოდ ყოველ წლივ ორმოც თუმანს. საღმრთო სჯულის მასწავლებლად იქნება ამ სკოლაში ადგილობრივი მოძღვარი მ. დავით ციცქიშვილი.

*** სოფ. ნებოძირი (შორაპნის მაზრა). სოფ. ნებოძირის ტყეების წარმოებას ხელი მიჰყო ბ-ნ ასატურ მადატოვმა, რომელმაც ხე-ტყის ჩამოსაზიდად სადგურს მოლითამდის დარი გამართა მდინარეებზედ... ეს სოფელი მის ახლო მდებარე სოფლებთან ერთად ბუნებისაგან მშვენიერი ჰაერით არის ბუნებისაგან დაჯილდოვებული; ჰაერის კეთილ შეზავებას ხელს უწყობს ტყეების სიხშირეც. ძლიერ სამწუხარო იქნება, თუ ბ-ნი მადატოვი სჭრის ნებოძირის მთებში ტყეს და იმის მოჭრის დროს არ იხელმძღვანელებს ტყის დაცვის შესახებ არსებულ კანონებით.

## ჩვენის გონების დღესასწაული.

(წერილი ქართველ საზოგადოების მიმართ).

თუ-კი რომელიმე საუკუნე ყოფილა ჩვენთვის ღირს შესანიშნავი რაიმე განსაკუთრებულის მოვლენით, უეჭველია, მეცხრამეტე საუკუნე უველაზედ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს მთელის თავისის სივრცით. მეცხრამეტე საუკუნე შეიცავს ჩვენთვის ერთ ისეთ დიდმნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც დაუფასებელია ქართველის ერისთვის და მუდამ სახსენებელი, როგორც მშობელი მთელის ჩვენის უკეთესის მომავლისა... ეს ის უუბრწყინვალესი და უნაყოფიერესი დროა, როდესაც ჩვენში დიდი ხნის ხელ-უხლებელ ნიადაგს მოხვდა სალი თესლი და აღმოცენდა ხე ცხოვრებისა, რომლის ჩრდილ ქვეშაც ისვენებს დღეს ჩვენი ქვეყანა; ეს ის მარად საქები წამია, როდესაც ჩვენი ქვეყნის ატმოსფერაში ახალმა მზემ შემოაშუქა და ჩვენსკენ გამოიტაცა ჩვენთვის სულ უცნობი და მასთან ჩვენი მაცოცხლებელი კარსკვლავები; ეს ის დიდებული დროა, როდესაც ქართველი კაცი ევროპიულ განათლებით აღიჭურვა და მიძინებულ ქვეყანას სიცოცხლის ფერს აძლევს. ამ დროს ჩვენ ვხედავთ ჩვენი ქვეყნის მიყრუებულ და მივარდნილ კუთხეებიდგან რუსეთისკენ მიმავალს მოსწავლე ახალ გაზდობას; ამ დროს ქართველი კაცი დასავლეთ ევროპაში განაგრძობს სწავლა-განათლებას და არა თუ თავისს გაუნათლებელ ქვეყანაში, წინ გასწრებულ რუსეთშიაც ყურადღებას იქცევს; ამავე დროს ხდება ის დიდებული ევოლიუცია, რომელიც ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი ჩვენის გონებრივ ცხოვრების ისტორიაში, — ხდება ის ახალი სანუგეშო ამბავი, რომ ქართველი კაცი ეღირსება იმ წმიდათა-წმიდაში შესვლას, რომელსაც მეცნიერების ტაძარი ჰქვიან, დაიკავებს ერთ-ერთ წმინდა სამსხვერპლოს, რომ ქართველის კაცის სახელით შესწიროს ხოლმე წმინდის გულით მიტანილი მსხვერპლი იმ ღმერთს, რომელსაც მეცნიერება ჰქვიან: ქართველი კაცი პროფესორად ხდება უმაღლესს სასწავლებელში.

დიახ, ეს ისეთი საგულისხმო მოვლენაა ჩვენს დაქვეითებულს ცხოვრებაში, რომელიც ახალს სასახელო ხანასა ჰქმნის ქართველ ერისთვის. ამ ახალმა მოვლენამ გაუკაფა ჩვენს მომავალ თაობას გზა იმავე წმიდათა წმიდისაკენ, მან აამაღლა ჩვენი ერი სხვა ერთა თვალში, მან დაგვაჯილდოვა იმ ბედნიერებით, რომ მეცნიერებას ჩვენც ვემსახურებით.. და ნაყოფიერი შრომა ჩვენ პირველ მეცნიერთა ყურადღებას იქცევს არა-თუ რუსეთში, მთელს განათლებულს ქვეყანაში. დგება ამ ჩვენ პირველ მეცნიერთა საიუბილეო დღე, და, რუსეთის გარდა, ევროპაც პატივისცემით აღნიშნავს ხოლმე იმათს სამსახურს მეცნიერების წინაშე: სახელოვანის კლოდ-ბერნარის მოწაფეს თარხნიშვილს ქება-დიდებას უძღვნის დიდებული სამშობლო ამ ცნობილის ფიზიოლოგისა, როგორც მის ღირსეულ მემკვიდრეს.

ჩვენც, რასაკვირველია, აღტაცებით ვეგებებით ასეთ იუბილეებს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი აღტაცება აღტაცებადვე რჩება და მეტი არაფერი; ამისთანა შემთხვევები ჩვენ არ აღგვინიშნავს არავითარის ღირსეულ საქმით, რომ უკვდავ-ვყოთ თუნდ ერთი შესანიშნავი ამბავი ჩვენის ცხოვრებისა. ბევრის ჩვენის დაუფასებელ შინაურ მოღვაწისთვის გულითად თანაგრძნობას გამოცხადებას-კი ვერ მოგვისხრხებია, და ზოგჯერ მხოლოდ ჩვეულებრივის სადღეგრძელოთი და „მრავალ-ჟამიერით" გათავდება ხოლმე 30—40 წლის მოღვაწეობის დაფასება რომელისამე მათგანისა. დროა, გონს მოვიდეთ და ჩვენის ძვირფასის მოღვაწეების სახელით ცოტა-ოდენი-რამ ჩვენც გავაკეთოთ. აი, ახლა, მაგალითად, ისეთი წლები გვიდგას, როდესაც თითქმის ერთსა და იმავე დროს 30—40 წლის იუბილეი უსრულდებათ ჩვენ სახელოვან 60—70 წლების მოღვაწეთ და პროფესორებს, რომელიც ჭეშმარიტად ჩვენი საერთო გონების დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს, იმ გონების დღესასწაულად, რომელიც 60—70 წლების ქართველ მწერალ-მოღვაწეებსა და მეცნიერებში განხორციელდა... ერთი ასეთი საგულისხმო დღესასწაული ამ 7—8 თვის შემდეგაც დაგვიდგება, და საჭიროა, მის მიგებებას აქედგანვე შევუდგეთ. მიმდინარე წლის გასულს ოდესსის უნივერსიტეტის ორდინარ პროფესორს ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს ოცდაათი წელი უსრულდება სამსახურისა, რის შემდეგაც პატივცემული პროფესორი უნივერსიტეტს თავს ანებებს და სამშობლოში ბრუნდება სამოღვაწეოდ, — აი, ამ საგულისხმო დღესასწაულის მიზეზი, რომლის ძვირფასი სამსახური მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე შესაფერ ჯილდოს მოითხოვს მის თანამემამულეთაგან. მისი მუდმივი გულმხურვალე თანაგრძნობა ყოველ ჩვენ საქმეში, ის ძვირფასი მეცნიერული განძი, რომელიც მას შეუტანია ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში, ის მამობრივი სამსახური, რომელიც მას გაუწევია მთელის ოდესელ ქართველობისათვის და განსაკუთრებით ქართველ სტუდენტებისათვის, თავისთავად კარად გვყოფს ამ დიდად და დიდად ძვირფასის ადამიანის პატივსაცემად. ოდესსელმა ქართველობამ, რომელსაც დიდად გული სწყდება პროფესორის პეტრიაშვილის განშორებით, განიზრახა სტიპენდიის დაარსება ვ. პეტრიაშვილის სახელობაზედ ოდესსის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ, რომ ამით გულითადი მადლობა გამოუცხადოს ძვირფასს თანამემამულეს და სამუდამოდ დაუვიწყარ-ჰყოს მისი სახელი ოდესსის უნივერსიტეტში. ამ განზრახვით ოდესსელმა ქართველობამ შეაგროვა კიდეც 455 მანეთი პროფესორის ვ. პეტრიაშვილის სტიპენდიის ფონდის სასარგებლოდ, რაც „ივერიაში" უკვე იყო მოხსენებული.

ამ სასარგებლო საქმის განსახორციელებლად იმედია ქართველი საზოგადოება თანაგრძნობას არ დააკლებს.

ოდესსელი ქართველი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის შტატ დაკოტის მთავრობამ ამას წინად გამოსცა შემდეგი ბრძანება: ყველა ყმაწვილი კაცი და ქალი, რომელნიც შეუღლებას აპირებენ, ვალდებულნი არიან გამოეცხადნენ განსაკუთრებულ კომისიას ჯან-მრთელობის შესამოწმებლად. ამ კომისიაში რამდენიმე მკურნალია, რომელთაც უნდა გასინჯონ ახალგაზდანი. იმას ცოლის შერთვის, ან გათხოვების ნება არ მიეცემა, ვინც ალკოგოლიკი, ჭლექიანი იქნება ან და სხვა ისეთის ავადმყოფობით იქნება შეპყრობილი, რომელიც შთამომავლობაზედ გადადის.

* * *

ერთ ვაჭარს მეტად ოსტატური ხერხი მოუგონია თავისს საქონლის გასასაღებლად. ამ ვაჭარს ველოსიპედების მაღაზია აქვს. მშვენიერის და კარგის ველოსიპედის შეძენა ამ მაღაზიაში კაცს შეუძლიან მხოლოდ ხუთ მანეთად, მაგრამ ამისათვის შემდეგია საჭირო. ის, ვისაც ველოსიპედის შეძენა ჰსურს, ყიდულობს მაღაზიაში განსაკუთრებულ ტალონს; ამ ტალონით მას კვიტანციის მიღების ნება ეძლევა, ხოლო კვიტანციით კიდევ ველოსიპედის მიღებისა. მაგრამ ველოსიპედის გამოტანამდე, ტალონის მყიდველმა უნდა იშოვოს ასეთისავე პირობებით ექვსი ახალი მუშტარი. როდესაც ასეთ ექვს კაცს იშოვნის, გამოართმევს მათ ხუთ-ხუთ მანეთს, ექვს სხვა ტალონს იყიდის მაღაზიაში და დაურიგებს კუთვნილებისამებრ; თვითოეულმა ამ ექვსთაგანმა კიდევ ექვს-ექვსი სხვა მუშტარი უნდა იშოვნონ და წარუდგინონ მაღაზიას შვიდი კაცის ფული, ე. ი. თვითომ 35 მანეთი, და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს პირველი მუშტარი თავისს ველოსიპედს ე. ი. მაშინ, როდესაც მაღაზიაში 215 მანეთი იქმნება შეტანილი. პირველის ველოსიპედის გამომტანის მიერ ნაშოვნი ექვსი მუშტარი თავიანთ ექვს ველოსიპედს მაშინ მიიღებენ, როდესაც 36 ახალ მუშტარს იშოვნიან ე. ი. როდესაც მაღაზია 1080 მანეთს მიიღებს. შემდეგ 36 კაცმა ველოსიპედის გამოსატანად 216 მუშტარი უნდა იშოვნოს და წარუდგინონ 6,480 მანეთი; 216 კაცმა — 1296 მუშტარი, უნდა წარადგინონ 38,880 მანეთი; 1296 კაცმა — 7776 მუშტარი, წარადგინოს — 235,280 მანეთი და ასე უკუნითი უკუნისამდე. თუმცა ველოსიპედი ხუთი მანეთი ღირს, მაგრამ მაღაზიიდგან გააქვთ მაშინ, როდესაც თითო ველოსიპედისათვის მაღაზიის კასსა 215 მანეთს მიიღებს. ასეთ ვაჭრობას ბოლო არასოდეს არ მოეღება, ხოლო თუ მოეღო, მაშინ ისეთი ტალონების პატრონები აღმოჩნდება, რომელთაც ჯერ ველოსიპედი არ მიუღიათ. ამათ, რასაკვირველია, უფლება აქვთ თავიანთი ფული დაიბრუნონ, მაგრამ ამ ფულის დაბრუნებას სულ სხვა შედეგი მოჰყვება: მაშინ ველოსიპედის წამღებთაც უნდა დაუბრუნონ ველოსიპედები, რადგანაც მათ იმ პირობით ჰქონდათ წაღებული, თუ 6 მუშტარს იშოვნიან, ხოლო ეს ექვსი თითო ექვს-ექვს ე. ი. სულ 43 კაცს. ამ რიგად ივლის და საქმე პირველ მუშტრამდე ავა, რომანაც უნდა დაუბრუნოს ველოსიპედი მაღაზიას.

* * *

ველოსიპედის ხმარება მარტო ამერიკაში არ არის გავრცელებული; იაპონიაშიაც ძალიან უყვართ ველოსიპედი. თუ რა სისწრაფით ვრცელდება ველოსიპედი იაპონიაში, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. ქ. ოსაკაში პირველი ველოსიპედი ერთს იქაურს მცხოვრებს გამოუწერია 1896 წელს. იმავე წელიწადს ოსაკაში 6,000 ველოსიპედი შეუძენიათ. უფრო სისწრაფით გავრცელდა ველოსიპედი ტოკიოში. ველოსიპედს ძალიან ხშირად მივარდნილ დაბებსა და სოფლებშიაც შეჰხვდებით. გზები იაპონიაში საუკეთესოა და ამინდიც მთელ წელიწადს თბილია, ამიტომ ველოსიპედის ხმარება ყოველთვის შეიძლება.

---

რომ[illegible], ჰპირდებოდა, რომ დაბრუნებისას თან წამოვიყვან „პატარა ბურსაო"; ბოლოს დასძენდა: „ღვთის გულისთვის, გაზეთები არ წაიკითხო: იქ ერთი სიტყვა არ არის მართალი; ვიმედოვნებ, რომ აღასრულებ ჩემ თხოვნასაო".

ამის შემდეგ ემმას გაზეთები თითქმის მთლად შესძაგდა.

დღე დღეს მისდევდა. ერთხელ ახალგაზრდა ქალი თავისის ვილლით ლონდონის ქუჩებში დასეირნობდა. თავისის სკოლის ამხანაგი ქალი ლედი ვინკლტონი შეხვდა. ლედი ვინკლტონი თალხებში იყო.

— კლარა! — როგორღაც არა ჩვეულებრივად ხმა მაღლა წამოიძახა ემმიმ.

— საყვარელო ემმი, ნუ თუ ჯერ კიდევ არ იცი? ჩემი ჰენრი ხომ მოჰკლეს ომში...

ლედი მონინგმა მკერდზედ იტაცა ხელები. ავადმყოფისებური კვნესა აღმოხდა გულიდგან და ძალზედ მოუჭირა ხელები ლედი ვინკლტონს; დიდხანს იდგა ასე და მთვრალსავით ჰფარფატებდა.

ერთი სანუგეშო სიტყვაც ვერ უთხრა თავისს მეგობარს ქალს.

ეს ამბავი პირველი ნამდვილი ამბავი იყო, რომელმაც მის ყურთამდე მიაღწია ბრძოლის ველიდგან.

არ იცოდა, როგორ მივიდნენ ისა და ვილლი სახლში. იმ წამიდგან, როდესაც შეიტყო კაპიტან ვინკლტონის სიკვდილის ამბავი, მიხვდა, რა საშინელება რამ იყო ომი, და წინანდელი მშვიდი ქალი მთლად აიმღვრა... რა საჭიროა ომიო?.. ჰკითხულობდა იგი; რა ნება აქვთ მოსტაცონ ოჯახებს მამები და ქმრები და დასაღუპავად გაჰგზავნონ?.. განა აქ დავრჩებოდი, წინადვე რომ გამეგო ყველაფერი?.. ისინი, ის წყეული პირველი მინისტრები, მშვიდად სხედან სახლში და ისე ექცევიან სხვის სიცოცხლეს, როგორც ჰსურთ და ეპრიანებათ.

უძლური სიბოროტე უფრო და უფრო გროვდებოდა მისს ამღვრეულს გულში... ქმრის თხოვნის წინააღმდეგ იგი ეცა გაზეთებს და ყოველ ინგლისელების შესახებ დამარცხების ცნობის შემდეგ სწყევლიდა იმათ, ვინც ომი ასტეხა...

როდესაც გაახსენებდნენ ხოლმე სამშობლოს სიყვარულსა და ჯარისკაცის მოვალეობასა, იგი თავს-ბრუდასხმული ჰყვიროდა:

— კარგი, მაგრამ სისხლი, სისხლი რად უნდა დაიღვაროს? ჩემი უბედური ჩარლზი და ეს საბრალო ბავშვი რა დამნაშავენი არიან?!..

—

— მილედი!..

ახალგაზდა ქალის წინ იდგა ის, ვისაც ინგლისის „პირველ მინისტრს" უწოდებენ.

ლედი მონინგმა ცივად, მაგრამ პატივისცემით დახარა თავი.

— მილედი! დედოფალმა მომანდო მისის სახელით თანაგრძნობა გამოგიცხადოთ.

ლედი მონინგმა კვლავ მდაბლად დაუკრა თავი.

— თქვენმა ქმარმა პატიოსნად შეასრულა ჯარის-კაცისა და მოქალაქის მოვალეობა. ამისთანა ხალხი იმ ერისა და ქვეყნის საამაყონი და თავ-მოსაწონებელნი არიან, რომლის შვილებიც ისინი არიან.

— ჩქარა დაბრუნდება?.. აკანკალებულის ხმით ჰკითხა ლედი მონინგმა.

— მილედი!.. ის... ის... ომმა იმსხვერპლა!..

ლედი მონინგმა ხმის ამოღებაც ვერ შესძლო. ძირს არ დაეცა, როგორც ამას ინგლისის „პირველი მინისტრი" მოელოდდა. ისე იდგა, თითქოს იატაკზეა მილურსმულიო, მკვდარსავით გაფითრებული; იმის ფართოდ გახელილ თვალებში უსაზღვრო შიში და შეკრთომა იხატებოდა...

ხელებსა ჰკუმშავდა და მისს წვრილ თითებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა.

— მილედი!.. გამაგრდით... დედოფალი და მე...

საბრალო ქალს გულიდგან უცბად ისეთი ხმა აღმოხდა, რომ ადამიანს ერთსა და იმავე დროს ქვითინიც ეგონებოდა და სიცილიც.

— დედოფალი და... თქვენ?... მე-კი... მე?!. რაღა მეშველება? ვილლი, ვილლი!.. წამოიძახა მან უეცრად იმისთანა ხმით, რომ „პირველს მინისტრს" თმები აებურძგა.

— მილედი!... კვლავ დაიწყო, მან.

— გაჩუმდით!... თქვე... ავაზაკო!... მე დედოფალსაც ვეტყვი, რომ თქვენ ავაზაკი ხართ...

საბრალომ კვლავ სულელურად გადიხარხარა...

— ჩარლზ!... ვილლი!.. სწიოდა იგი.

ის, ვისაც ინგლისის „პირველ მინისტრს" ეძახიან, საჩქაროდ წავიდა. უბედური ქალი კი გამოუთქმელის მწუხარებისაგან გონება დაბნეული იყო და გულში იკრავდა ბავშვს, რომელმაც ყვირილზედ მოირბინა.

— მამილო!... დედილო!... ლიკლიკებდა პაწია და მშვიდ ცის-ფერ თვალებიდგან ცრემლები ლაპა-ლუპით გადმოსდიოდა.

ვანო გიუნაშვილი

## გამოსადეგი ცნობა

კომბოსტოს ფოთოლი.

სოფლებსა და აგარაკებში, სადაც საყინულეები არ არის, კომბოსტოს ფოთოლი სწორედ შეუდარებელი რამ არის ხორცის შესანახად. მროხისა იქნება თუ ცხვრის ხორცი, უნდა დამაზად გაჭხვიოთ კომბოსტოს ფოთოლში და ისე შეინახოთ სარდაფში; მაშინ სიცხე ვეღარას დააკლებს, სუნი არ დაეცემა და შედარებით დიდხანს შეინახება. ასევე კარგად ინახება კომბოსტოს ფოთოლში მროხის კარაქი, დამარილებული ზამთრიანი კონსერვები და სხ. ეს საშუალება საფრანგეთში მეტად არის გავრცელებული.

—

ყავის მოყვარულთა საყურადღებოდ.

„Journal de Brasseurs“-ის სიტყვით, თუ გსურთ საუკეთესო ყავა მოჭხარშოთ, მაშინ უბრალო სასმელი წყალი არ უნდა ახმაროთ; უნდა ქიმიურად დაწმენდილი ე. ი. გამოხდილი (дистилированная) წყალი აიღოთ და იმაში მოჭხარშოთ. ამ რიგად მოხარშულს ყავას საუცხოვო გემო აქვს, სასიამოვნო და სუნიც მშვენიერი აქვს. მიზეზი ამისი ის არის, რომ მდინარის დაუწმენდელს წყალში, განსაკუთრებით-კი წყაროებში, მრავლად ურევია სხვა-და-სხვა მინერალთა ნივთიერებანი, რომლებიც ყავის ერთს შემადგენელს ნაწილს ტანინს თავისს ბუნების თვისებას უკარგვენ, ე. ი. წყალში აღარ იხსნება. გამოხდილ წყალში-კი ტანინი არც ერთს თავისს თვისებას არა ჰკარგავს, გემოზედ კარგად ჰმოქმედებს და ადამიანს მადასა ჰმატებს, რასაკვირველია, თუ არ მოსჭარბდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 მაისი.

**ბუდა-პეშტი.** უნგრეთის დელეგაციამ შეიწყნარა სამხედრო ხარჯთაღრიცხვა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება კლიპრივერიდგან: „18 მილის მანძილზე ვიმყოფებით იოჰანესბურგიდგან. ბურებმა სიმაგრეები გააკეთეს რამდენსამე ადგილას, მაგრამ როცა-კი ვუახლოვდებოდით, გარბოდნენ იქიდგან. ისე შევავიწროვეთ ისინი, რომ ძლივს მოასწრეს თავიანთ 5 ზარბაზნის წაღება. როცა ავსტრალიის ცხენოსანი ქვეითა ჯარი მოვიდა აქ, ფრენჩისა და გამილტონის ჯარები უთუოდ შეებრძოლნენ მტერს. ათი მილის სიშორიდგან ზარბაზნებისა და თოფების ხმა ისმის“.

**ლორენცო-მარკეზე.** ბოტა მივიდა პრეტორიაში კრიუგერთან მოსალაპარაკებლად სამშვიდობო პირობების შესახებ. რამდენისამე დღის წინად ბოტა ურჩევდა, „დავმორჩილდეთ მტერსო; შტეინიც მომხრეა მშვიდობიანობისა და მხოლოდ კრიუგერს სურს ომის გაგრძელება. პრეტორიაში იმ აზრის არიან, რომ მშვიდობიანობის მომხრენი გაიმარჯვებენო.

**პეკინი.** დიპლომატთა კრებულს თათბირი ჰქონდა საშიშ მდგომარეობის შესახებ.

**კაპშტადტი.** ფრენჩმა გზა მოუჭრა ბურებს გეიდელბერგსა და ბოკსბურგს შუა, იოჰანესბურგიდგან რამდენისამე მილის მოშორებით.

**პრეტორია.** ინგლისელებმა დაიჭირეს ზეირუსტი. ძლიერი რაზმი ლიხტენბურგში მიდის.

**ტიანტ-ძინი.** ორასმა ჩინელმა ჯარის-კაცმა რკინის გზაზედ მიმოსვლა აღადგინა ტიანტ ძინსა და პეკინს შუა. მშვიდობიანობა სუფევს. 30 იაპონელი ჯარის-კაცი მოვიდა ტიანტ-ძინში. საფრანგეთის გემებმა ტაკუ დასტოვეს.

**კონსტანტინეპოლი.** სმირნაში მეორე კაცი გახდა ავად შავის ჭირით, რის გამო ხუთი დღის კარანტინი დააწესეს.

**პარიჟი.** გალიფე ავად არის და მინისტრთა კრებას არ დასწრებია.

**კაპშტადტი.** ორანჟეს რესპუბლიკა დღეს ფორმალურად შეიერთა ინგლისმა.

**პრეტორია.** გამოცხადებულია, რომ ბრიტანიის ჯარები შაბათს მდინარე ვალში გავიდნენო. ლიმმერს ცხარე ბრძოლა იყო კლიპრივერის მახლობლად; ხუთი ბურგერი მძიმედ დაიჭრა და ორი ტყვედ წაიყვანა მტერმა.

———

რედაქციას წერილები მოსდის და ჩემს ჯან-მრთელობის ამბავს ჰკითხულობენ. მადლობას მოვახსენებ რა მოკითხვისათვის, ვაუწყებ ჩემს კეთილის-მყოფელთ, რომ ამ ჟამად უკეთა ვარ.

ილია ჭავჭავაძე

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვწირავ სამების ეკკლესიის მღვდელს ეპიფანე ხონელიას და იმათ, ვინც მისის შთაგონებით კეთილ ინებეს და ვანის ახალის ეკკლესიის სასარგებლოდ შემოსწირეს სამოც-და-ხუთი მანეთი.

თეოფილე მახარაძე

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

23 მაისი

საქმე ვლადიმირ კემულარიასი, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1531 მუხ. აღნიშნული დანაშაული ედება ბრალად.

რეჯაბ კუთელიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

ამას გარდა განხილულ იქმნება თორმეტი იმათი საქმე, რომელთაც ნებადაურთველად არაყის გამოხდა ჰბრალდებათ გორის მაზრაში, სახელდობრ საქმენი:

თავ. იაკობ მაჩაბლისა.

იოსებ და ნიკო მარძანიძეებისა.

გიორგი გურასპაშვილისა.

მართა ზაუთაშვილისა.

ელისაბედ არდემონაშვილისა.

სალომე ბუზალაძისა.


# განცხადებანი




(50—267—33)


# ანგარიში

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა 1899 წლ.

### I. 1 მარტისათვის 1899 წლისა იყო:

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული . . . . | 19,782 | 59 | ნაღდ ფულად . . . . | 6,247 | 97 |
| სათადარიგო თანხა . . . | 1,342 | „ | კერძო პირ. ანგარიშზე . . . | 2,556 | 80 |
| ძირის თანხა . . . . | 1,342 | „ | საქსოვის „ . . . | 2,572 | 40 |
| გადასატანი ფული . . . . | 1,431 | 55 | ძაფის „ . . . | 787 | 94 |
| სესხი . . . . . | 429 | 55 | ქსოვილების „ . . . | 3,739 | 92 |
| წმინდა მოგება . . . . | 4,190 | 97 | პარკის „ . . . | 67 | 75 |
| | | | ქონების „ . . . | 12,545 | 88 |
| ჯამი | 28,518 | 66 | ჯამი | 28,518. | 66 |

### II. 1899 წლის განმავლობაში (1 მარტიდგან 1899 წლ. 1 მარტამდე 1900 წლ.)

| შემოვიდა: | | | გავიდა: | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფულის ანგარიშისაგან . . | 4,109 | 78 | წილის ფულის ანგარიშით . . | 32 | 55 |
| პარკის „ . . | 120,330 | 93 | პარკის „ . . | 103,663 | 27 |
| თესლის „ . . | 23,700 | 40 | თესლის „ . . | 21,586 | 83 |
| სესხის „ . . | 88,222 | 37 | სესხის „ . . | 73,616 | 99 |
| კერძო პირთა „ . . | 42,347 | 18 | კერძო პირთა „ . . | 43,443 | 28 |
| ქსოვილის „ . . | 5,486 | 07 | ქსოვილის „ . . | 5,347 | 25 |
| ძაფის „ . . | 2,711 | 35 | ძაფის „ . . | 4,590 | 44 |
| ძაფ. ამოსალ. ქარხნის „ . . | 1,194 | 51 | ძაფ. ამოსალ. ქარხნის „ . . | 1,194 | 51 |
| საქსოვის „ . . | 5,851 | 14 | საქსოვის „ . . | 4,085 | 61 |
| სათადარიგო თანხის „ . . | 419 | „ | გადასატანი ფულის „ . . | 6,763 | 35 |
| ძირის „ . . | 419 | „ | ქონების „ . . | 4,828 | 55 |
| გადასატანი ფულის „ . . | 7,328 | 98 | სამმართველო ხარჯი „ . . | 5,576 | 07 |
| ქონების „ . . | 1,411 | 09 | სადურგლოს „ . . | 112 | 98 |
| სადურგლოს „ . . | 112 | 98 | ფულის სარგებლის „ . . | 5,972 | 67 |
| ფულის სარგებლის „ . . | 225 | 50 | დივიდენდის „ . . | 2,403 | 05 |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი . . | 179 | 89 | ალებ-მიცემობის „ . . | 838 | „ |
| | | | სხვა-და-სხვა „ . . | 91 | 30 |
| ჯამი შემოსავლისა | 304,050 | 17 | ჯამი გასავლისა | 284,146 | 70 |

### III. 1 მარტისათვის 1900 წლ. არის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული . . . . | 23,859 | 82 | ნაღდ ფულად . . . . | 26,151 | 44 |
| სათადარიგო თანხა . . . | 1,761 | „ | კერძო პირებზე . . . . | 3,652 | 90 |
| ძირის თანხა . . . . | 1,761 | „ | საქსოვზე . . . . | 806 | 87 |
| გადასატანი ფული . . . | 1,997 | 18 | ძაფად . . . . | 2,846 | 65 |
| ნასესხი . . . . | 15,034 | 93 | ქსოვილებად . . . . | 3,056 | 90 |
| წმინდა მოგება . . . | 8,064 | 17 | ქონებად . . . . | 15,963 | 34 |
| ჯამი | 52,478 | 10 | ჯამი | 52,478 | 10 |

### IV გამოანგარიშება მოგება-წაგებისა 1899 წ.

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1898 წლიდგან გადმოვიდა მოგება . | 4,190 | 97 | ამავე დროს გავიდა: | | |
| 1899 წლის განმავლობაში შემოვიდა: | | | პარკში გავიდა . 103,663—27; პარკი იყო . . 67—75 | 103,731 | 02 |
| პარკისაგან . . . . . | 120,330 | 93 | თესლში . . . . . . | 21,586 | 83 |
| თესლისაგან . . . . . | 23,700 | 40 | ქსოვილში . . . 5,347—25; ქსოვილი იყო . . 3,739—92 | 9,087 | 17 |
| ქსოვილისაგან 5,486—07; ქსოვილი არის 3,056—90 | 8,542 | 97 | ძაფში . . . . 4,590—44; ძაფი იყო. . . . 787—94 | 5,378 | 38 |
| ძაფისაგან . 2,711—35; ძაფი არის . 2,846—65 | 5,558 | „ | ა) გაიწერა მოგებიდგან 1898 წლისა, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა: | | |
| სარგებელი ფულისა . . . | 225 | 50 | სათადირიგო თანხად . . . | 419 | „ |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი (პ.-ის ბლანკისა, მარკისა და სხვა) . . | 179 | 89 | ძირის თანხად . . . . | 419 | „ |
| | | | დივიდენდად . . . . | 2,403 | 05 |
| | | | გასანაღდებლად ქონებისა . . | 770 | 83 |
| | | | სარევიზიო კომისიას მიეცა . . | 129 | 09 |
| | | | ერთ ღარიბ ამხანაგს . . . | 50 | „ |
| | | | ბ) საანგარიშო წლის მოგებიდგან მიეცა: | | |
| | | | მმართველს (ჯამაგირი) . . . | 1,200 | „ |
| | | | კასსირს, მდივანს, სარ. კომისიას და სხვა მოსამსახურეებს . . | 1,615 | „ |
| | | | ფოსტა-ტელეგრაფის, წასვლა-მოსვლის ხარჯები . . . | 623 | 19 |
| | | | კანცელარიის, საკანტორო წიგნებისა, განცხადებების, ბლანკების ჟურნალ-გაზეთების, გათბობა-განათების, ბჟოლის ნერგის და სხვა . . . . . | 754 | 58 |
| | | | სარგებელი სესხისა . . . | 5,972 | 67 |
| | | | სავაჭრო მოწმობათა გარდასახადები | 524 | 68 |
| | | | ჯამი გასავლისა | 154,664 | 49 |
| | | | წმინდა მოგება 1899 წლისა . | 8,064—17 | |
| მთელი ჯამი შემოსავლისა წინა წლის მოგებიანათ: | 162,728—66 | | და სრულიად ჯამი . . | 162,728 | 66 |

მმართველი ამხანაგობისა ნ. წერეთელი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Мая 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე